



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

www.ozurgeti.gov.ge

ქ.ოზურგეთი

N 80
30/06/2017

80-03-4-201706301622



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„გენო ბაბილოძის ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში
საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მთავარი სპეციალისტის
თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 მარტის N37 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“
საქართველოს კანონის 125-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „გენო ბაბილოძის ქალაქ ოზურგეთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის
საკითხებში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ“ - ქალაქ
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 4 მარტის N37
ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


„1. დაინიშნოს გენო ბაბილოძე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატში III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის
თანამდებობაზე საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში და მისი
თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარის
ოდენობით.“.

2. ბრძანება გადაეგზავნოს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14).

4. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა